



მრავალფეროვნების მართვის საფუძვლები



ОСНОВЫ УПРАВЛЕНИЯ МНОГООБРАЗИЕМ



USAID
აშშ-ის საერთაშორისო
დახმარების სააგენტო

გამოცემა მომზადებულია საქართველოს გაეროს ასოციაციის „ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის პროგრამის“ ფარგლებში აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით

Publication has been prepared in frames of the “National Integration and Tolerance in Georgia” Program of the United Nations Association of Georgia with the financial support of the United States Agency for International Development (USAID).

Издание подготовлено в рамках «Программы национальной интеграции и толерантности» Ассоциации ООН Грузии, при финансовой поддержке Агентства США по международному развитию.



პარტნიორები - საქართველო
PARTNERS - GEORGIA

პუბლიკაცია გამოიცა ცვლილებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრის “პარტნიორები – საქართველოს” მიერ
შემდგენელი და რედაქტორი: მილენა მიტავარია
თბილისი, 2010

Публикация издана Центром по управлению переменами и конфликтами «Партнеры – Грузия»

Составитель и редактор: МИЛЕНА МИТАГВАРИЯ

Тбилиси, 2010

სარჩევი

СОДЕРЖАНИЕ


მრავალფეროვნების ლექსიკონი	4	СЛОВАРЬ МНОГООБРАЗИЯ
საიდან მოდის “მრავალფეროვნების მართვის“ სნება?	8	ОТКУДА ПРОИЗОШЛО ПОНЯТИЕ «УПРАВЛЕНИЯ МНОГООБРАЗИЕМ»?
მრავალფეროვნების სხვადასხვა კონტექსტი	14	РАЗЛИЧНЫЕ КОНТЕКСТЫ МНОГООБРАЗИЯ
მრავალფეროვნების დადებითი და უარყოფითი პოტენციალი	16	ПОЛОЖИТЕЛЬНЫЙ И ОТРИЦАТЕЛЬНЫЙ ПОТЕНЦИАЛЫ МНОГООБРАЗИЯ
ეთნიკური მრავალფეროვნება	20	ЭТНИЧЕСКОЕ МНОГООБРАЗИЕ
კულტურა და მემკვიდრეობა	21	Культура и наследие
კულტურული ფილტრები	24	Культурные фильтры
მრავალფეროვნების კომპეტენცია	25	Компетенция многообразия
რასა, რასობრივი თეორიები, რასობრივი დისკრიმინაცია	27	Раса, расовые теории, расовая дискриминация
ეთნიკური ჯგუფი	29	Этнические группы
ერი, ეროვნება	30	Нация, национальность
მიგრანტები (ემიგრანტები და იმიგრანტები)	32	Мигранты (эмигранты и иммигранты)
ინდივიდუალური და ჯგუფური იდენტურობა	34	ИНДИВИДУАЛЬНАЯ И ГРУППОВАЯ ИДЕНТИЧНОСТЬ
დამოკიდებულება ეთნიკურ ჯგუფებს შორის	38	ОТНОШЕНИЯ МЕЖДУ ЭТНИЧЕСКИМИ ГРУППАМИ
რანჟირებული ეთნიკური ჯგუფები	39	Ранжированные этнические группы
არარანჟირებული ეთნიკური ჯგუფები	40	Неранжированные этнические группы
სეგრეგაციის მოდელი	41	Модель сегрегации
ინტეგრაციის მოდელი	42	Модель интеграции
თანაარსებობის მოდელი	43	Модель сосуществования
სტერეოტიპები	44	СТЕРЕОТИПЫ
ტოლერანტობა	48	ТОЛЕРАНТНОСТЬ
მრავალფეროვნების მართვა ორგანიზაციაში	52	УПРАВЛЕНИЕ МНОГООБРАЗИЕМ В ОРГАНИЗАЦИЯХ
მრავალფეროვნების განზომილებანი	54	Измерения многообразия
რა არის მრავალფეროვნების მართვა ორგანიზაციაში?	56	Что такое управление многообразием в организации?
მრავალფეროვნების მართვის მიზნები	57	Цель управления многообразием
მენეჯერის როლი მრავალფეროვნების მართვაში	58	Роль руководителя в управлении многообразием
მრავალფეროვნების მართვის პროგრამები	59	Программы управления многообразием

მრავალფეროვნების
ლექსიკონი

СЛОВАРЬ
МНОГООБРАЗИЯ

მ ა
ს
ქ
ს





ანტი-რასიზმი – რასიზმის დამამკვიდრებელი ფასეულობების, სტრუქტურების და ქცევის გამოვლენის, მათი დაპირისპირებისა და შეცვლისკენ მიმართული საქმიანობა.

ბარიერები - პოლიტიკა ან საქმიანობა, რომელიც არ აძლევს ადამიანს საშუალებას იყოს საზოგადოების სრული და თანაბარუფლებიანი წევრი. არსებობს როგორც თვალსაჩინო ბარიერები (მაგალითად კიბე, რომლის გამოც ინვალიდის ეტლში მყოფ ადამიანს არ შეუძლია შენობაში შეღწევა), ასევე ნაკლებად თვალსაჩინო (მაგალითად ახალგაზრდული ღონისძიების დანიშვნა სამუშაო საათებში, როდესაც ახალგაზრდები სკოლაში ამ სამსახურში იმყოფებიან).

დისკრიმინაცია – ადამიანებთან უსამართლოდ მოპყრობა მათი სქესის, ეთნიკური ან პოლიტიკური მიკუთვნების, სოციალური კლასის, რელიგიის, ოჯახური სტატუსის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის ან უმწეობის ნიშნით. ხშირად, დისკრიმინაცია ერთდროულად რამდენიმე ნიშნით ხდება. ადამიანის უფლებების კონტექსტში, დისკრიმინაცია ნიშნავს ადამიანების ან ჯგუფების ერთმანეთისგან განსხვავებას რასის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის, კანის ფერის, რელიგიის, ასაკის, სქესის, ოჯახური მდგომარეობის, გონებრივი ან ფიზიკური უმწეობის, ნასამართლეობის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.

დომინანტური ჯგუფი – დომინანტურ ჯგუფს გააჩნია ძალაუფლება და უფლებამოსილება შეინარჩუნოს, მხარი დაუჭიროს და კიდევ უფრო გააძლიეროს ძალაუფლების, სიმდიდრისა და საზოგადოებრივი სტატუსის არსებული განაწილება.

ეთნიკური მიკუთვნება – ცნება, რომელიც იხმარება ინდივიდებისა და თემების მიერ საკუთარი თავის იდენტიფიცირების მიზნით. ეთნიკურობა ეფუძნება საერთო კულტურას, ენას ან ეროვნებას.

ეროვნული უმცირესობა – დღესდღეობით საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ტერმინის „ეროვნული უმცირესობა“ ზუსტი განმარტება, თუმცა მეცნიერთა და სპეციალისტთა უმრავლესობა თანხმდება შემდეგ განსაზღვრებაზე: ეროვნული უმცირესობა არის მოცემულ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის არადომინირებული ნაწილი, რომელიც უმრავლესობისაგან განსხვავდება თავისი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური მახასიათებლებით და სურს შეინარჩუნოს საკუთარი თვითმყოფადობა. ^{*1}

^{*1} ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვა, [მეთოდური სახელმძღვანელო], ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი, ჯ. ჯავახიშვილისა და ნ. სარჯველაძის რედაქციით, –თბილისი, 2007.

АНТИРАСИЗМ — деятельность, противодействующая проявлению расизма, ксенофобии и этнической дискриминации. Активисты движения выступают за свободу и равноправие всех людей, независимо от их расы и национальности.

БАРЬЕРЫ – политика или деятельность, не дающая людям возможность быть полноправными и равноправными членами общества. Существуют не только очевидные барьеры (например, лестница, из-за которой находящийся в инвалидной коляске человек не может проникнуть в здание), но также и менее очевидные (например, проведение молодежного мероприятия в рабочие часы, когда большинство молодежи работает или учится).

ДИСКРИМИНАЦИЯ (лат. Discriminatio — различие) — ограничение и ущемление прав человека по определённому признаку, как то: раса, национальность, гражданство, родство, пол, религиозные убеждения, сексуальная ориентация, возраст, инвалидность, род занятий и т.д. Очень часто дискриминация происходит одновременно по нескольким признакам. В контексте прав человека, дискриминация означает различие людей или групп на основе расы, национальной или этнической принадлежности, цвета кожи, религии, возраста, пола, семейного положения, умственной или физической неполноценности, судимости или сексуальной ориентации.

ДОМИНАНТНАЯ ГРУППА – группа, наделенная властью и полномочиями, достаточными для поддержания и усиления существующего разделения власти, богатства и общественного статуса.

ЭТНИЧЕСКАЯ ПРИНАДЛЕЖНОСТЬ – понятие, используемое для самоидентификации индивидов и сообществ. В основе этнической принадлежности лежат общая культура, язык или национальность.

НАЦИОНАЛЬНОЕ МЕНЬШИНСТВО – в международном праве до сих пор не существует четкого определения этого понятия, хотя большинство ученых и экспертов сходятся на том, что национальное меньшинство – это желающая сохранить свою самобытность недоминантная часть населения той или иной страны, постоянно живущая на ее территории и отличающаяся от большинства своими этническими, религиозными или лингвистическими характеристиками. ^{*1}

^{*1} Управление межнациональными отношениями (методическое пособие); Фонд развития человеческих ресурсов; под редакцией Д. Джавахишвили и Н. Сарджвеладзе; Тбилиси, 2007

მრავალფეროვნების ტერმინი... სლოვარ მНОГОБРАЗИЯ... მრავალფეროვნების ტერმინი... სლოვარ მНОГОБРАЗИЯ...



რევერსული რასიზმი – ეს ტერმინი შეიქმნა, რათა შეგვახსენოს, რომ დომინანტური ჯგუფიც შესაძლოა რასიზმის მსხვერპლი გახდეს. მაგრამ რასიზმი გულისხმობს საზოგადოებაში გარკვეული ძალაუფლების ქონას, ძალაუფლებისა, რომელიც არ გააჩნია არა-დომინანტურ ჯგუფებს; ამდენად, ეს ტერმინი გამოიყენება (ცნობიერად, ან გაუცნობიერებლად) არადომინანტური ჯგუფების დადანაშაულებისა და მათი „ადგილზე დასმის“ მიზნით. დომინანტური ჯგუფების დისკრიმინაციის შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „დისკრიმინაცია“.

სამსიზმი – ქცევა და რწმენა, რომელიც ასხვავებს სქესს (მდედრის და მამრის ფიზიკურ მახასიათებლებს) და გენდერს (ქალისა და მამაკაცის კულტურულ და ფსიქოლოგიურ განმარტებებს) და აღიარებს, რომ ერთ-ერთი მათგანი უფრო ფასეულია. „მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებს განსხვავებული როლები, უფლებები და პრივილეგიები ენიჭებათ, ამდენად ქცევის სხვადასხვაგვარ წესებს უნდა ემორჩილებოდნენ. გარდა ამისა, მამაკაცები და ქალები განსხვავებული შესაძლებლობებისა და ტემპერამენტის მატარებლები არიან, რაც კიდევ ერთხელ ამართლებს საზოგადოებაში არსებული როლური სტრუქტურის მუდმივობას.“ (Mackie, Marlene, 1983).

სტერეოტიპი – გარკვეული ჯგუფის ფიზიკური ან კულტურული მახასიათებლების განზოგადოებული აღქმა. ასეთი განზოგადოებები ეხება ჯგუფის ყველა წევრს. ზოგი სტერეოტიპი შესაძლოა მოგეჩვენოთ პოზიტიურად, თუმცა, სინამდვილეში ნებისმიერი მათგანი ნეგატიურია. საზიანოა, როდესაც ინდივიდები ფასდებიან მათი ჯგუფის აღქმული ნორმების და არა საკუთარი ღირსებების მიხედვით.

ფასეულობები – ფასეულობები ადამიანებისთვის არის ის, რაც მათი აზრით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. „ფასეულობები – სოციალურად გაზიარებული იდეალებია იმის შესახებ, თუ რა არის კარგი, სწორი და სასურველი“ (Rosado, 1998).

ბრუნდები – დამოკიდებულება, რწმენა ან და მოსაზრება, რომელიც ემყარება არაშესატყვის ან არასაკმარის ინფორმაციას ადამიანთა ჯგუფის შესახებ. „სხვების მიმართ ანტიპატივა, რომელიც გამომდინარეობს არასწორი და ხისტი განზოგადობებისგან და წინასწარი ნეგატიური შეფასებისგან. ასეთი ტიპის აზროვნება ქმნის არარაციონალურ და დაუსაბუთებელ ვარაუდებს უმცირესობათა შესახებ, რაც, თავის მხრივ, ახდენს გავლენას ადამიანების უნარზე შეაფასონ ეს ჯგუფები სამართლიანად, ობიექტურად და კორექტულად“ (Elliott & Fleras, 1992). სტერეოტიპი + ფასეულობები = ცრურწმენა

ჰომოფობია – შიში ან ზიზლი გეების, ლესბოსელების, ბისექსუალების ან ტრანსსექსუალების მიმართ. ჰომოფობია შეიძლება გადაიზრდოს ყველა იმ ადამიანის დისკრიმინაციაში, რომელიც, სავარაუდოდ, განეკუთვნება ზემოხსენებულ ჯგუფებს.

სექსიზმი – სოციალური სტერეოტიპები, აზრები და დოქტრინები, რომლებიც ხაზს უსვამენ სქესობრივ სტრუქტურის განსხვავებას. სექსიზმი მოიცავს სტერეოტიპებს, აზრებს და დოქტრინებს სქესობრივი როლების შესახებ. სექსიზმი ხდება, როდესაც სქესობრივი სტერეოტიპები და სქესობრივი დოქტრინები გამოიყენება, რათა აღიარებულ იქნას, რომ ერთი სქესობრივი სტრუქტურა უფრო ფასეულია, ვიდრე მეორე. სექსიზმი ხდება, როდესაც სქესობრივი სტერეოტიპები და სქესობრივი დოქტრინები გამოიყენება, რათა აღიარებულ იქნას, რომ ერთი სქესობრივი სტრუქტურა უფრო ფასეულია, ვიდრე მეორე. სექსიზმი ხდება, როდესაც სქესობრივი სტერეოტიპები და სქესობრივი დოქტრინები გამოიყენება, რათა აღიარებულ იქნას, რომ ერთი სქესობრივი სტრუქტურა უფრო ფასეულია, ვიდრე მეორე.

სტერეოტიპი სოციალური (от греч. stereos — твердый, прочный и typos — форма, образец) — обобщенная, упрощенная и ригидная система широко разделяемых представлений о группах людей, в которых каждый человек рассматривается как носитель одних и тех же наборов характеристик, приписываемых любому члену данной группы безотносительно его реальных качеств. Некоторые стереотипы могут казаться положительными, однако на самом деле любая попытка оценить индивида на основе воспринимаемых характеристик его группы, а не его собственных достоинств, является вредной и дискриминационной.

ЦЕННОСТИ — «социально одобряемые и разделяемые большинством людей представления о том, что является важным, хорошим, правильным и желательным» (Rosado, 1998). Ценности не подвергаются сомнению, они служат эталоном и идеалом для всех людей.

ПРЕДРАССУДОК – отношение, убеждение или соображение, опирающееся на неадекватную или недостаточную информацию о человеке или группе людей. «Предрассудок – это антипатия по отношению к другим людям, проистекающая от неправильных и грубых обобщений и негативных оценок. Подобный тип мышления создает иррациональные и необоснованные предположения относительно меньшинств, что, в свою очередь, влияет на способность людей справедливо, корректно и объективно оценивать эти группы» (Elliott & Fleras, 1992). Стереотипы + ценности = предрассудки.

ГОМОФОБИЯ - бытует мнение, что гомофобией является та или иная форма агрессии по отношению к гомосексуалистам. Это не совсем так. Гомофобия часто проявляется в виде агрессии, направленной на гомосексуалистов, гомосексуальную культуру, гомосексуальную атрибутику и пр., но причиной этой агрессии является страх человека перед тем, что собственная сексуальность, в ее истинном виде, имеет гомосексуальную окраску. Этимология слова «гомофобия» базируется на слове «фобия» (страх), и, в буквальном смысле, означает страх перед гомосексуализмом. Изначально гомофоб испытывает страх перед гомосексуальностью, а уже потом пытается подавить этот страх агрессией (в данном случае агрессия выполняет функцию уничтожения источника страха).



თუკი შენგან რაიმეთი განვსხვავდები, ამით
კი არ შეურაცხავოფ, არამედ გამდიდრებ.

ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი

*Если я отличаюсь от тебя,
то этим я не оскорбляю,
а обогащаю тебя.*

Антуан де Сент-Экзюпери

საიდან მოდის "მრავალფეროვნების მართვის" ცნება?

ОТКУДА
ПРОИЗОШЛО ПОНЯТИЕ
«УПРАВЛЕНИЯ
МНОГООБРАЗИЕМ»?

მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ცნება შედარებით ახალია, საკმაოდ დიდი ხანია არსებობს სფეროები, რომლებმაც არა მხოლოდ შექმნეს მრავალფეროვნების გათვალისწინების და მასთან მუშაობის აუცილებლობა, არამედ ამჟამადაც აგრძელებენ მრავალფეროვნების მართვის კონცეფციის ფორმირებას და ამ მიმართულებით ბევრი სასარგებლო რესურსის მოწოდებას. მხოლოდ რამდენიმე შევჩერდეთ:

● **ვაჭრობა და მარკეტინგი, განსაკუთრებით კი საერთაშორისო ბიზნესი**

საქონლის გაცვლის საჭიროება და სურვილი ჯერ კიდევ უძველესი დროიდან აიძულებდა თავგადასავლების მაძიებლებს უცხო ქვეყნებში მოგზაურობას, სადაც მათ, წარმატების მიღწევის და გადარჩენის მიზნით, სრულიად უცხო ერების ფასეულობების, ყოფის გაცნობა და მათ წარმომადგენლებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება უწევდათ. ასე წარმოიშვა სავაჭრო ტრადიციები, შეთანხმებები და კონვენციები, რომლებიც ხელს უწყობენ ურთიერთგაგების გაღრმავებას და საქონელგაცვლას. დღესდღეობით, სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებთან არსებული სავაჭრო ოფისები, ეკონომიკური სააგენტოები და კერძო სავაჭრო ორგანიზაციები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობენ ინფორმაციას კულტურული განსხ-

ვავეცების შესახებ, რადგან ამ განსხვავებებს საერთაშორისო ბიზნესზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია.

რადგან საერთაშორისო ბიზნესის წარმოება ბევრ შემთხვევაში საზღვარგარეთ ცხოვრებას ნიშნავს, ორგანიზაციებში (და „ან მათ დამოუკიდებლად“) სულ უფრო ხშირად ყალიბდება სპეციალური სამსახურები, რომლებიც ამზადებენ ადამიანებს უცხოეთში ცხოვრებისა და მუშაობისთვის.

მრავალკულტურული და გლობალური ბაზრების არსებობა აიძულებს მარკეტოლოგებს იკვლიონ, თუ როგორ გავლენას ახდენენ კულტურული განსხვავებები ადამიანის საჭიროებებსა და მის მიერ ამა თუ იმ კონკრეტული პროდუქტის აღქმაზე. კვლევების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენება საქონლისა და მომსახურების დიზაინის, წარმოების, მარკეტინგის და გაყიდვის დროს.

● **მთავრობა, სამოქალაქო ადმინისტრირება და დიპლომატი**

ძველი დროიდან მოყოლებული, ყველა სახელმწიფო, რომელსაც სურდა მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება, ურთიერთ-მომგებიანი ვაჭრობის დამყარება, ან თუნდაც არსებული კონფლიქტის მოგვარება, აგზავნიდა ამ ქვეყნებში მუდმივმოქმედ (ან გრძელვადიან) ადმინისტრაციულ და დიპლომატიურ მისიებს.

НЕСМОТРЯ на то, что понятие «управления многообразием» зародилось относительно недавно, уже с давних времен существуют сферы деятельности человека, которые не только создали необходимость учитывать многообразие и работать с ним, но и продолжают по сей день формировать концепцию управления многообразием и накапливать полезный опыт в этой области.

● **ТОРГОВЛЯ, МАРКЕТИНГ, МЕЖДУНАРОДНЫЙ БИЗНЕС**

Испокон веков желание и необходимость обмена товарами побуждали любителей приключений странствовать по чужим странам. Для выживания и достижения цели путешественникам приходилось изучать быт и ценности совершенно незнакомых людей и налаживать с ними общение. Так появились первые торговые традиции, договоры и конвенции, которые способствовали взаимопониманию и обмену. Современные торговые офисы, экономические агентства и частные торговые организации, существующие при правительствах разных стран, уделяют особое внимание информации о культурных разли-

чиях, так как эти различия могут существенно влиять на успех бизнеса.

Ведение бизнеса за границей обычно связано с более или менее длительным пребыванием в другой стране, поэтому при организациях (или независимо от них) всё чаще создаются специальные службы, которые подготавливают людей для проживания и работы за рубежом.

Существование многокультурных глобальных рынков побуждает маркетологов исследовать влияние культурных различий на нужды человека и на восприятие того или иного продукта. Информация, полученная в результате таких исследований, применяется при дизайне, производстве, маркетинге и продаже товаров и услуг.

● **ПРАВИТЕЛЬСТВО, ГРАЖДАНСКОЕ АДМИНИСТРИРОВАНИЕ И ДИПЛОМАТИ**

С давних пор государства, стремившиеся сохранить добрососедские отношения с соседними странами, наладить взаимовыгодную торговлю или уре-

ამ მისიებში მომუშავე ადამიანებს უნდა დაეძლიათ უცხო ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებული მრავალი კულტურული პრობლემა. ზოგიერთი მათგანი ამას წარმატებით აღწევდა, გამოირჩეოდა რა მაღალი მგრძობელობით იმ ქვეყნის კულტურის მიმართ, რომელშიც იმყოფებოდა. ისინი კი, ვინც ვერ ან არ ითვისებდა უცხო ქვეყნის კულტურის თავისებურებებს, შემდგომი დაპირისპირების და ომის მიზეზიც კი ხდებოდნენ. დღესდღეობით ადმინისტრაციული და დიპლომატიური თანამდებობის პირებისთვის ამ მიმართულებით სპეციალური ტრენინგები ტარდება; მათ მიეწოდება შესაბამისი ლიტერატურა, ინფორმაცია და ესწავლებათ კულტურათაშორისი მუშაობის უნარ-ჩვევები.

● სამღვდლოება და მისიონერები, ეკუმენიზმი

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, რელიგიის მსახურთა (მისიონერთა) მცდელობები მოექციათ ადამიანები ამა თუ იმ სარწმუნოების ქვეშ არ გამოირჩეოდა უცხო კულტურის მიმართ განსაკუთრებული მგრძობელობით, და ზოგჯერ იძულებით ხასიათსაც კი ატარებდა, ბევრმა რელიგიურმა ჯგუფმა დაიწყო საკუთარი "მესიჯის" ადაპტირება იმ ადამიანების კულტურული იდენტურობის მიმართ, რომლებსაც მიმართავდა. ისინი აგროვებდნენ შესაბამის ინფორმაციას, სწავლობდნენ მას და ეუფლებოდნენ

კულტურული განსხვავებების მართვას. მათ მიერ შემუშავებული მრავალი რესურსი ამჟამადც არ კარგავს აქტუალობას და ხელმისაწვდომია საზოგადოების ფართო ფენებისთვის. იმ რელიგიურმა და ეთნიკურმა ჯგუფებმა, რომლებმაც ისტორიულად თავად განიცადეს დევნა და დისკრიმინირება, სოციალურად დაუცველ ფენებთან და სხვა კულტურების მიერ დაჩაგრულ ჯგუფებთან მუშაობის უნარ-ჩვევები და ემპათიის (შთაგრძობის) უნარი შეიძინეს. ბოლო წლებში, ეკუმენიკური და რელიგიათაშორისი დიალოგის მომხრეები მიმართავენ სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ადამიანებს და მოუწოდებენ მათ ერთად იმუშაონ თეოლოგიურ, ეთიკურ და სოციალურ პრობლემებზე.

● ნებაყოფლობით გაერთიანებები და მოძრაობები

ცალკეული ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჯანმრთელობის, მშვიდობის, ეკოლოგიისა და სხვა ჰუმანიტარული პრობლემატიკით, თავიანთ მოხალისეებსა და თანამშრომლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში აგზავნიან. ასეთ ორგანიზაციებს ხშირად გააჩნია მათივე ექსპერტების მიერ შემუშავებული საკმაოდ დახვეწილი სატრენინგო სისტემები და სხვა ტიპის რესურსები, რომლებიც ემსახურება უცხო გარემოში გადარჩენისა და ეფექტური მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენასა და გავარჯიშებას. ასეთი ორგანიზაციების მიერ

гулировать существующие конфликты, посылали в эти страны постоянно действующие или временные административно-дипломатические миссии. Люди, работавшие в этих миссиях, были вынуждены справляться с многочисленными трудностями, связанными с проживанием в чужой стране. У тех, которые отличались высокой восприимчивостью к культуре страны, в которой находились, все неплохо получалось. Другие же, из-за игнорирования особенностей чужой культуры, становились причиной последующих противостояний и даже войн. В настоящее время для лиц, занимающих административные и дипломатические должности, проводятся специальные тренинги в этом направлении; им предоставляется соответствующая литература и информация, а также дается возможность освоить навыки межкультурной деловой коммуникации.

насильственный характер. Некоторые религиозные группы, осознав, что насилие лишь усиливает противостояние, начали адаптировать собственные «послания» к культурной идентичности тех людей, к которым обращались. Они собирали соответствующую информацию, изучали её и учились управлять культурными различиями. Многие разработанные ими ресурсы по сей день не теряют своей актуальности и доступны для широких кругов общества. Отдельные религиозные и этнические группы приобретали навыки работы с людьми (особенно с социально незащищенными слоями или с группами, угнетёнными другой культурой) и воспитывали в себе способность эмпатии (сочувствия). В последние годы сторонники экуменических и межрелигиозных диалогов обращаются к людям различных вероисповеданий и призывают их вместе работать над теологическими, этническими и социальными проблемами.

● ДУХОВЕНСТВО И МИССИОНЕРЫ, ЭКУМЕНИЗМ

Еще во времена средневековья, попытки служителей церкви (миссионеров) обратить людей в ту или иную веру не отличались особенной деликатностью к чужой культуре, а чаще всего носили откровенно

● ДОБРОВОЛЬНЫЕ ОБЪЕДИНЕНИЯ И ДВИЖЕНИЯ

Международные организации, работающие в области здравоохранения, экологии и других гуманитарных областях, посылают своих доброволь-

დაგროვილი გამოცდილება (ანუ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა არის დასაშვები და რა – დაუშვებელი ამა თუ იმ კულტურაში) ამდიდრებს კულტურათაშორისი თანამშრომლობის შესახებ არსებულ ცოდნას.

● აკადემიური დისციპლინები, როგორებიცაა, მაგალითად, კულტურული და ლინგვისტური ანთროპოლოგია, სოციოლოგია, ისტორია და ლინგვისტიკა

ასეთი დისციპლინების ყურადღების ფოკუსში მსოფლიო კულტურის (და სხვადასხვა ეთნოჯგუფების) წარმოშობა, განვითარება და მეცნიერული აღწერაა მოქცეული. ისინი შეისწავლიან ამა თუ იმ კულტურაში არსებულ რწმენას, მითოლოგიას, ღირებულებებს, სოციალურ სტრუქტურებს, ქცევით და საკომუნიკაციო მოდელებს. ადრეულ წლებში ეს მეცნიერებები უფრო მეტად წარსულში არსებული პრიმიტიული კულტურების შესწავლაზე იყო ორიენტირებული, მაშინ როდესაც თანამედროვე კვლევები უფრო მეტ ყურადღებას ჩვენს დროში არსებულ კულტურულ ფენომენებს უთმობენ. უფრო მეტიც, ისინი ცდილობენ განჭვრიტონ მომავალი და იწინასწარმეტყველონ ცალკეული კულტურების შემდგომი განვითარება და შესაძლო ცვლილებები. ასეთი დისციპლინების მიერ შეგროვილი, უზარმაზარი მოცულობის საინფორმაციო მასალების მოძიება და გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა

უნივერსიტეტების შესაბამის განყოფილებებსა და ბიბლიოთეკებში არსებული მონაცემთა ბაზების მეშვეობით. მრავალფეროვნების პრობლემები მოექცა აგრეთვე ფილოსოფიის, ეთიკის, და ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერებების ფოკუსში.

● სოციალური მუშაობა და ფსიქოლოგია, როგორც კლინიკური, ასევე ინდუსტრიული

ეს დისციპლინები ცდილობენ შეუქმნან მოტივაცია, მოაგვარონ კონფლიქტები და გააუმჯობესონ იმ ადამიანების და ჯგუფების ფსიქიური ჯანმრთელობა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ ან მუშაობენ; ამდენად, ისინი ესწრაფიან უფრო ღრმად გააცნობიერონ და გაიაზრონ მოსაზრებებისა და ემოციების ის მრავალფეროვნება, რომელიც რეალურად არსებობს ამ ადამიანებში. ამ მიზნით მეცნიერები შეისწავლიან სხვადასხვა წარმოშობის ათასობით ადამიანის ცხოვრებისეულ სტილსა და ქცევით მოდელებს, ზოგიერთი კი უშუალოდ სპეციალიზირდება კულტურათაშორის კონსულტირებასა და თერაპიაზე, ან მუშაობს მხოლოდ კონკრეტული ჯგუფების (მაგალითად, ქალების ან/და მამაკაცების) ვიწრო საჭიროებებიდან გამომდინარე. თანამედროვე სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ საკადრო (ადამიანური რესურსების) განყოფილებებში, ვალდებულნი არიან იცნობდნენ ამ სფეროების მიერ დაგროვილ გამოცდილებას.

цев-сотрудников в разные места земного шара. В таких организациях часто имеется достаточно чётко разработанная тренинговая система и информационные ресурсы, разработанные специально для приобретения и развития навыков выживания и эффективной работы в чужой культурной среде. Опыт этих организаций (попросту говоря, информация о том, что допустимо или не допустимо в той или иной культуре), вносит свой вклад в знания о межкультурном сотрудничестве.

● АКАДЕМИЧЕСКИЕ ДИСЦИПЛИНЫ: КУЛЬТУРНАЯ И ЛИНГВИСТИЧЕСКАЯ АНТРОПОЛОГИЯ, СОЦИОЛОГИЯ, ИСТОРИЯ И ЛИНГВИСТИКА

Эти дисциплины сфокусированы на происхождении, развитии и научном описании мировой культуры (разных этнических групп) и изучают существующую в этих культурах религию, мифологию, ценности, социальные структуры, поведенческие и коммуникационные модели. Прежде эти науки, в основном, были ориентированы на изучение примитивных культур прошлого, но современные исследования больше внимания уделяют культурным

феноменам нашего времени и, более того, пытаются заглянуть в будущее и предсказать возможные изменения этих культур. Использование собранных и обработанных такими дисциплинами огромных баз данных возможно через соответствующие отделения и библиотеки разных университетов. Проблемы многообразия оказались также в центре внимания таких наук, как философия, этика и литература.

● СОЦИАЛЬНАЯ РАБОТА, КЛИНИЧЕСКАЯ И ИНДУСТРИАЛЬНАЯ ПСИХОЛОГИЯ

Эти науки пытаются создать мотивацию, урегулировать конфликты и улучшить психическое здоровье людей и групп, которые живут или работают вместе. Соответственно, они стремятся более глубоко осознать и осмыслить эмоциональное и интеллектуальное многообразие, присущее этим людям. С этой целью представители вышеперечисленных наук изучают жизненный стиль и модели поведения множества людей различного происхождения, а некоторые из них либо непосредственно специализируются на межкультурном консультировании и терапии, либо (в случае необходимости) работают с конкретными

● განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება

დაწყებული ბაგა-ბაღის დონიდან და დამთავრებული საუნივერსიტეტო სწავლებით, ლექტორ-მასწავლებლებს (და შესაბამისად ტრენერებსაც) ხშირად უწევთ მუშაობა სხვადასხვა წარმოშობის მოსწავლეებსა და სტუდენტებთან; მათი აუდიტორიების მრავალფეროვნება გამოიხატება არა მხოლოდ მიგრანტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის განსხვავებულ ყოფით წეს-ჩვეულებებსა და სწავლის სტილში, არამედ გენდერულ, რასობრივ და ეთნიკურ განსხვავებებშიც; დღის წესრიგში დგება აგრეთვე კლასობრივი და ოჯახური წარმომავლობის საკითხები. ამიტომ განათლების დეპარტამენტები, ისევე როგორც საგანმანათლებლო ასოციაციები და საჯარო სამსახურები თავის მუშაობის პროცესში იყენებენ და თავადვე ქმნიან მრავალფეროვნების საკითხებისადმი მიძღვნილი მასალებისა და რესურსების დიდ მოცულობებს; ეს მასალები განკუთვნილია როგორც განათლების სფეროს მუშაკებისთვის, ასევე სტუდენტებისა და მათი მშობლებისთვის.

группами, например, с женщинами или мужчинами. Сотрудники современных отделов кадров обязаны учитывать весь опыт, накопленный в этих областях знаний.

● ОБРАЗОВАНИЕ И РАЗВИТИЕ ЧЕЛОВЕЧЕСКИХ РЕСУРСОВ

Начиная с дошкольного уровня и заканчивая высшим образованием, учительско-преподавательскому составу и, соответственно, тренерам часто приходится работать с учениками и студентами различного происхождения. Многообразие аудитории выражается не только в различии жизненных правил и стиле обучения эмигрантов или местного населения, но и в гендерных, расовых и этнических различиях. Сегодня также актуальны вопросы классового и семейного происхождения. Поэтому, в процессе своей работы, департамент просвещения, организации, работающие в области образования, а также общественные службы используют и создают большое количество материалов и ресурсов, посвященных вопросам многообразия. Эти материалы предназначены как для сотрудников сферы образования, так и для студентов и их родителей.

● აზირაციული ქმედებები და თანაბარი შესაძლებლობები; თანასწორუფლებიანი დასაქმება

ადამიანის უფლებათა დაცვის, სამოქალაქო უფლებათა დაცვის, ხოლო მოგვიანებით კი ქალთა და მამაკაცთა უფლებათა დაცვის მოძრაობებიდან წარმოიქმნა:

- **აღიარება იმისა**, რომ სხვადასხვა ტიპის ცრურწმენები და სტერეოტიპები, უთანასწორობა და უსამართლობა სულ უფრო და უფრო ფართოდ და სწრაფად ვრცელდება;
- **ძალისხმევები**, რათა ყოველივე ზემოხსენებული აღმოიფხვრას, რაც ხდება კონკრეტული პირებისა და ჯგუფების აქტიური საქმიანობის ხარჯზე; ამ საქმიანობის შედეგად სამთავრობო დაწესებულებები იძლევიან მანდატს შესაბამისი რექტიფიკაციული² პროგრამების განხორციელებაზე;
- **ორგანიზაციების ძალისხმევა**, ამ მანდატთან შესაბამისაობაში შეიმუშაონ როგორც თანამშრომლეთა შერჩევისა და დაწინაურების თანასწორუფლებიანი პროცედურები, ასევე სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა, პროგრამები და ტრენინგები. ბოლო წლების

² რექტიფიკაცია (rectification) – (შეცდომების გამოსწორება, კორექტირება, შესწორებების შეტანა)

● АФИРМАЦИОННЫЕ (ПОЗИТИВНЫЕ) ДЕЙСТВИЯ И РАВНЫЕ ВОЗМОЖНОСТИ; РАВНОПРАВИЕ ПРИ ТРУДОУСТРОЙСТВЕ


В результате движений за права человека и защите гражданских прав, а также вследствие борьбы за права женщин и мужчин происходит:

- **осознание и признание** того факта, что разного рода суеверия, стереотипы, неравенство и несправедливость распространяются все быстрее и шире;
- **объединение ресурсов и усилий** конкретных лиц и групп с целью искоренения вышеупомянутого; в результате их активности рождаются на свет необходимые законодательные и юридические акты, а правительственные организации, в свою очередь, выдают *мандат* на осуществление соответствующих ректификационных² программ.
- **направление усилий организаций и учреждений** на разработку:
 - a) *справедливых и равноправных процедур найма (подбора) и карьерного продвижения сотрудников;*

² Ректификация (Rectification) - исправление ошибок, комментарии, внесение поправок.

განმავლობაში ასეთი ტიპის საემიანობამ ჩამოაყალიბა მრავალი ექსპერტი-პრაქტიკოსი, შექმნა დიდი რაოდენობით რესურსები, და კვლავაც ძალზე აქტუალური რჩება, რაც განპირობებულია ბოლო წლებში განახლებული და კიდევ უფრო გაზრდილი მრავალფეროვნების არსებობით.

ვუყურებთ რა სფეროთა დიაპაზონს, რომელმაც მისცა დასაბამი მრავალფეროვნებასთან მუშაობას, გასაგები ხდება, თუ რატომ მოხდა ისე, რომ მრავალფეროვნების საკითხებში ექსპერტთა უმრავლესობა წარმომავლობით კოლეჯის პროფესორები, სასულიერო პირები, მასწავლებლები, თერაპევტები, ყოფილი დიპლომატიური პერსონალი და სოციალური მუშაკები არიან. ამ ადამიანების მეშვეობით მრავალფეროვნება, როგორც დისციპლინა, მრავალი ბიზნეს-სკოლის სასწავლო პროგრამაში შევიდა და უამრავი ბიზნეს კომპანიისა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სატრენინგო პროგრამების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწილი გახდა.



b) политики, программ и тренингов, направленных против сексуальных домогательств.

Деятельность данного типа в течении последнего времени способствовала появлению множества экспертов-практиков и созданию большого объема информационных ресурсов.

Рассматривая диапазон сфер, давших начало работе с многообразием, становится ясно, что большинство авторов, консультантов и тренеров, работающих с вопросами многообразия, являются профессорами колледжей, представителями духовенства, учителями, терапевтами, выходцами из дипломатического персонала, социальными работниками. Благодаря этим людям многообразие, как дисциплина, вошла в учебную программу бизнес-школ и стала очень популярной частью тренинг-программ многих компаний и общественных организаций.





მრავალფეროვნების სხვადასხვა კონტექსტი

РАЗЛИЧНЫЕ
КОНТЕКСТЫ
МНОГООБРАЗИЯ

● **სოციალური კონტექსტი**

მრავალფეროვნება გულისხმობს ერთ პოპულაციაში უამრავი განსხვავებული კულტურის, აზრის, ეთნიკური ჯგუფის, სოციალურ-ეკონომიკური ფონის და სხვა სოციალური კონსტრუქციების არსებობას.

● **გლობალური, კლანტარული კონტექსტი**

საერთაშორისო, გლობალურ დონეზე, მრავალფეროვნება გულისხმობს უამრავი ადამიანის არსებობას; თითოეულ მათგანს კაცობრიობის კულტურაში თავისი უნიკალური წვლილი მიუძღვის.

● **პოლიტიკური კონტექსტი**

ამ სფეროში მრავალფეროვნების ცნება ხშირად 'ტოლერანტობასთან' ერთად იხმარება, რაც კიდევ ერთხელ უსვავს ხაზს იდეას, რომ მრავალფეროვნება ღირებული და სასურველია. მრავალფეროვნების კონცეფციის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკურ არენაზე "მრავალფეროვნება" არის კოდური სიტყვა, რომელიც აიძულებს ხალხს აიტანონ და გაამართლონ მათთვის მიუღებელი და შეუფერებელი ადამიანები და საქმიანობა. ასევე

● **СОЦИАЛЬНЫЙ КОНТЕКСТ**

Многообразие подразумевает наличие в одной популяции множества культур, мнений, этнических групп, различного социально-экономического фона и т.д.

● **ГЛОБАЛЬНЫЙ КОНТЕКСТ**

На международном глобальном уровне многообразие подразумевает существование множества людей, которые вносят свою долю уникального опыта в культуру человечества.

● **ПОЛИТИЧЕСКИЙ КОНТЕКСТ**

В этой сфере многообразие часто употребляется вместе с термином толерантность, что поддерживает идею о том, что многообразие ценно и желательно. Критики концепции многообразия отмечают, что на политической арене «многообразие» - т.н. кодовое слово, вынуждающее народ терпеть и оправдывать людей и действия, которые для них неприемлемы. Высказывается также критика по поводу того, что программы многообразия в просвещении и бизнесе

გამოქვამენ კრიტიკას იმის თაობაზე, რომ მრავალფეროვნების პროგრამები განათლებაში და ბიზნესში აქცენტს უმცირესობათა ჯგუფებზე (მაგ., ჰომოსექსუალისტიებზე) აკეთებენ და გაცილებით ნაკლებ დროს უთმობენ სხვა ჯგუფებს.

● **ეკოლოგიური კონტექსტი**

ბიო-მრავალფეროვნება აღწერს ეკოლოგიური ერთობლიობების სტრუქტურას, რაშიც იგულისხმება არა მხოლოდ სახეობათა მრავალფეროვნება, არამედ თითოეული სახეობის შიგნით არსებულ ინდივიდთა მრავალფეროვნებაც.

● **ბიზნეს კონტექსტი**

ბიზნეს-კონტექსტში გარეგნული მრავალფეროვნება (რასა, კანის ფერი, სქესი) განიხილება ერთის მხრივ, როგორც თანამშრომლეთა მოზიდვის და შენარჩუნების, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც მომხმარებლის ნდობის გაზრდის სტრატეგია. გლობალურ და მრავალფეროვან ბაზარზე კომპანიას, რომლის რასობრივი და სქესობრივი შემადგენლობა ასახავს იმ ბაზრის დემოგრაფიას, რომელსაც ემსახურება, მეტი და უკეთესი შანსები აქვს საიმისოდ, რომ შეინარჩუნოს ბაზარი და წარმატებას მიაღწიოს.

акцентируются на группах меньшинств, уделяя значительно меньшее внимание всем остальным группам.

● **ЭКОЛОГИЧЕСКИЙ КОНТЕКСТ**

Биологическое многообразие описывает структуру экологических взаимоотношений. Здесь подразумевается не только многообразие видов, но и многообразие индивидов, существующих внутри каждого вида.

● **БИЗНЕС-КОНТЕКСТ**

В контексте бизнеса внешнее многообразие (раса, цвет кожи, пол) с одной стороны рассматривается как стратегия привлечения и стабилизации кадров, а с другой – как стратегия роста доверия потребителя. Те компании, расовый и гендерный состав которых отражает демографию обслуживаемого ими рынка, имеют бóльшие шансы для сохранения клиентуры и достижения успеха на глобальном многообразном рынке.





მრავალფეროვნების
დადებითი და
უარყოფითი პოტენციალი

ПОЛОЖИТЕЛЬНЫЙ
И ОТРИЦАТЕЛЬНЫЙ
ПОТЕНЦИАЛЫ
МНОГООБРАЗИЯ

როგორც ვნახეთ, ადამიანებთან მიმართებაში მრავალფეროვნება ნიშნავს მათ შორის არსებულ განსხვავებებს – სქესის, განათლების, რწმენის, ღირებულებებისა და სხვა მრავალი კუთხით. მრავალფეროვნების ყველა განზომილება მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება, რომელიც როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პოტენციალის მატარებელია.

მრავალფეროვნებას შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. როდესაც შედარებით მცირე ერი ცდილობს გლობალურ გარემოში გადარჩენას, ამ პროცესში სხვადასხვა იდეების, კულტურების, წეს-ჩვეულებების მონაწილეობა ფასდაუდებელია. მრავალფეროვნებიდან გამომდინარე შემოქმედებითობა, ინოვაციურობა და ერთგვარი გამოწვევა, რომლის წინაშეც დგება საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობები და სიბრძნეები, ძლიერი პოტენციალია საიმისოდ, რომ ჩვენ გავაუმჯობესოთ საქმიანი, სამუშაო და სავაჭრო ურთიერთობები, რაც თავისთავად დადებითად აისახება მთლიანად საზოგადოების და ცალკეული ოჯახების ცხოვრების დონეზე.

არსებობს ფაქტები, რომლებიც ადასტურებს, რომ პერსონალის მრავალფეროვნება ეხმარება

კომპანიებს პროდუქციის ახალ ბაზრებზე გატანაში. მაგალითად, თუ ქართულ კომპანიებს სურთ აზიურ (ჩინურ) ბაზარზე შეღწევა, ისინი ნამდვილად იხიერებენ, თუკი თანამშრომელთა შორის ჩინელებიც ეყოლებათ: ჩინელი თანამშრომელი ასეთი კოპანიისთვის არის ადამიანი, რომელიც საუბრობს ჩინურად, აბსოლუტურად გარკვეულია ჩინეთის კულტურულ წეს-ჩვეულებებსა და ნორმებში და ამავდროულად კარგადაა გათვითცნობიერებული ქართულ ყოველდღიურ საქმიან ცხოვრებაშიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩინელი თანამშრომელი ამ შემთხვევაში ითამაშებს გარკვეული ხიდის როლს და მნიშვნელოვნად გააიოლებს ქართულ და ჩინურ კომპანიებს შორის საქმიანი ურთიერთობების დამყარებისა თუ შენარჩუნების პროცესს.

რაც უფრო მრავალფეროვანია მოსახლეობა ქვეყანაში, მით უფრო მრავალფეროვანი ხდება ბაზარზე არსებული მოთხოვნა; ასე რომ ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ბაზარზე იწყებს ახალი მიმართულებებით განვითარებას. მრავალფეროვნება მიმზიდველობას და სიცოცხლეს მატებს ქალაქებს, რის გამოც ისინი სასურველ საცხოვრებელ ადგილად ფასდება; ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ამ ქალაქებში კიდევ უფრო მეტი ადამიანური რესურსის შემოღინებას.

ამავდროულად, როგორც ამას პარიზში და ლონ-

КАК БЫЛО показано выше, понятие многообразия применительно к человеку предполагает существующие различия между людьми (пол, образование, вероисповедание, ценности и многое другое). Все аспекты многообразия существенны, но для нашей страны особую значимость приобретает этническое, культурное и религиозное многообразие, которое несет в себе как положительный, так и отрицательный потенциал.

Многообразие может способствовать экономическому росту страны. Когда сравнительно небольшая нация стремится сохранить самобытность в условиях всеобщей глобализации, важность участия в этом процессе всего многообразия существующих в стране традиций, обычаев и культур трудно переоценить. Творческий подход и инновации открывают новые возможности для деловых, рабочих и торговых отношений, что положительно сказывается на уровне жизни как отдельно взятой семьи, так и общества в целом.

Существуют факты, подтверждающие, что многообразие рабочей силы помогает компаниям выходить со своей продукцией на новые рынки. Напри-

мер, если грузинские компании желают выйти на азиатский (например, китайский) рынок, им было бы выгодно иметь среди сотрудников китайцев. Сотрудник-китаец для такой компании является «полезным» ресурсом, который, с одной стороны, говорит на китайском, знает абсолютно все об обычаях, особенностях и нормах делового этикета, принятых в Китае, а с другой – почти так же хорошо разбирается в деловой жизни Грузии. Одним словом, сотрудник-китаец в данном случае может сыграть роль своеобразного межкультурного «мостика», или катализатора, и значительно облегчить процесс установления и сохранения деловых отношений между грузинской и китайской компаниями.

Чем более разнообразным является население страны, тем более разнообразные требования предъявляются потребителю, который, стремясь удовлетворить появляющееся многообразие нужд и потребностей, начинает развиваться в новых направлениях. Многообразие придаёт городам живость и динамичность, они становятся интересными для проживания и привлекают большое количество человеческих ресурсов.

დონში მომხდარი ბოლოდროინდელი მოვლენები ადასტურებს, მრავალფეროვნებამ შესაძლოა შეამციროს საზოგადოების "შეკრულობა" და ერთიანობა; მოსახლეობა თავს საფრთხის ქვეშ გრძნობს, მატულობს დაუცველობის განცდა და შედეგად თავს იჩენს მტრობის, რასიზმისა და დისკრიმინაციის ფაქტები ცალკეულ უმცირესობათა მიმართ.

გარდა ამისა, მრავალფეროვანი მოსახლეობის სულ უფრო მრავალფეროვანი მოთხოვნები ზრდის ხარჯებს სხვადასხვა მომსახურების მიწოდებელი სამთავრობო სტრუქტურებისთვის, რადგან საჭირო ხდება ამ მომსახურების გაუმჯობესება, დივერსიფიცირება და ცალკეულ მოთხოვნებზე მორგება.

როგორ მივალწიოთ იმას, რომ მრავალფეროვნება ჩვენს საზოგადოებაში მაქსიმალურად დადებითი პოტენციალის მატარებელი იყოს?

ამ კითხვაზე პასუხი არც ისე იოლია. აქ დღის წესრიგში დგება მრავალფეროვნების მართვის, ქვეყნის და საზოგადოების სასიკეთოდ მისი ეფექტურად გამოყენების საკითხი. ამიტომ, ზემოხსენებულ კითხვაზე პასუხის ძებნის პროცესში რამდენიმე მიმართულებით უნდა ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ:

Многообразие, однако может и отрицательно влиять на «сплоченность и единство» общества. При увеличивающемся притоке «чужеземцев» местное население ощущает себя незащищенным, в результате чего могут наблюдаться факты враждебного отношения, расизма и дискриминации по отношению к отдельным меньшинствам.

Как добиться того, чтобы многообразие нашего общества несло в себе, по возможности, только положительный потенциал?

Однозначно ответить на этот вопрос сложно, так как на повестку дня встают также вопросы управления многообразием и его использования на благо страны и общества. Поэтому, в процессе поиска ответов, следует мыслить и действовать одновременно в нескольких направлениях:

- **В КАКОМ ОБЩЕСТВЕ НАМ ХОЧЕТСЯ ЖИТЬ?**
 - Как отразится многообразие нашего общества на выполнении тех социально-экономических целей и задач, которые мы перед собой поставили?

● **რა ტიპის საზოგადოებაში გვსურს ვიცხოვროთ?**

- როგორ აისახება ჩვენი საზოგადოების მრავალფეროვნება იმ სოციალურ-ეკონომიკურ მიზნებზე, რომელთა მიღწევასაც ვცდილობთ?
- რას ნიშნავს იყო ქართველი?
- როგორ შეიცვლება ის, თუ რას ნიშნავს იყო ქართველი ჩვენი საზოგადოების მრავალფეროვნების ზრდის შედეგად?
- როგორ ვცდილობთ მივალწიოთ იმას, რომ საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს გააჩნდეთ საერთო ინდენტურობის და ლოიალობის გრძნობა?
- გააჩნია თუ არა ჩვენს საზოგადოებას ისეთი ფასეულობები, რომლებიც ფუნდამენტური და საერთოა ყველასთვის?

● **როგორ შეგვიძლია გავზარდოთ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული შესაძლებლობები?**

- როგორ მივალწიოთ იმას, რომ ადამიანებმა შეძლონ ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის მიღება?
- რას შეიძლება ნიშნავდეს გაზრდილი მრავალფეროვნება იმ საჯარო და კერძო სააგენტოებისთვის, რომლებიც მომსახურების მიწოდებაზე არიან ორიენტირებულები?

- Что означает быть грузином?
- Как изменится понятие «грузин» в результате роста многообразия нашего общества?
- Как достичь общей для всех идентичности и лояльности среди всего населения Грузии?
- Имеются ли в нашем обществе фундаментальные и общие для всех ценности?

● **КАК РАСШИРИТЬ ВОЗМОЖНОСТИ, ПРЕДОСТАВЛЯЕМЫЕ МНОГООБРАЗИЕМ?**

- Как сделать так, чтобы люди могли более полно участвовать в экономической и социальной жизни?
- Что может означать рост многообразия для тех общественных и частных агентств, которые ориентированы на предоставление услуг населению?
- Что может означать рост многообразия в контексте наших конституционных ценностей и структур?
- Насколько представительны (с точки зрения многообразия) наши организации и учреждения, в том числе государственные?

- რას ნიშნავს გაზრდილი მრავალფეროვნება ჩვენი საკონსტიტუციო ღირებულებებისა და სტრუქტურებისთვის?
- რამდენად წარმომადგენლობითია ჩვენი ინსტიტუტები/დაწესებულებები?
- ხომ არ საჭიროებს ჩვენი მრავალფეროვანი მოსახლეობა მთავრობასთან ურთიერთობის ახალ გზებს?

● როგორ ვმართოთ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული რისკები?

- როგორ უნდა უზრუნველყოთ კანონის უზენაესობა მაშინ, როდესაც ის შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანთა საკმაოდ დიდი ჯგუფის ფასეულობებსა და რწმენას?
- როგორ უნდა დავარწმუნოთ ადამიანები დაემორჩილონ კანონს მაშინაც კი, როდესაც ისინი მას არ ეთანხმებიან?
- რას ვაკეთებთ, როდესაც ზოგიერთი ფასეულობა არ შეესაბამება ადამიანის უფლებების ჩვენებულ გაგებას?
- რომელი უფლებებია ფუნდამენტური და სად უნდა მოვნიშნოთ ტოლერანტობის და თავისუფლების საზღვრები?
- დასაშვებია ზოგიერთი ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა იმისათვის, რომ მივცეთ ეს თავისუფლება სხვებს?

- Не нуждается ли наше многообразное общество в новых способах общения с правительством?

● КАК УПРАВЛЯТЬ РИСКАМИ, СВЯЗАННЫМИ С МНОГООБРАЗИЕМ?

- Как обеспечить господство права, если существующие в стране законы не соответствуют ценностям и убеждениям значительного количества людей?
- Как убедить людей подчиняться закону, когда они с ним не согласны?
- Как мы поступаем, когда некоторые ценности, существующие в обществе, не соответствуют нашему пониманию прав человека?
- Какие из прав являются фундаментальными, и где проходит граница между толерантностью и свободой?
- Возможно ли ограничивать свободу некоторых людей во имя того, чтобы предоставить эту свободу другим?
- Каковы те разумные и результативные способы, которыми можно «приучать» общество к толерантности?



- რისი გაკეთება შეგვიძლია იმისათვის, რომ აზრიანად და შედეგიანად მოვუწოდოთ საზოგადოებას ტოლერანტობისკენ?
- როგორ უნდა გავაუმჯობესოთ ქვეყნის შიგნით ჩვენი ურთიერთობები ისე, რომ საქართველოში მცხოვრებმა ადამიანებმა არ იგრძნონ თავი დამცირებულად, ან საფრთხეში?

● როგორ მივალწიოთ იმას, რომ ყველა ქართველმა მიიღოს სარგებელი იმ შესაძლებლობებისგან, რომლებიც თან ახლავს მრავალფეროვან საზოგადოებაში ცხოვრებას?


- როგორ გავლენას ახდენს ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე?

- Как улучшить отношения внутри страны таким образом, чтобы люди, проживающие в Грузии, чувствовали себя в безопасности и не боялись несправедливого обращения?

● КАК ДОБИТЬСЯ ТОГО, ЧТОБЫ КАЖДЫЙ ГРАЖДАНИН НАШЕЙ СТРАНЫ МОГ ВОСПОЛЬЗОВАТЬСЯ ВОЗМОЖНОСТЯМИ, КОТОРЫЕ СВЯЗАНЫ С ПРОЖИВАНИЕМ В МНОГООБРАЗНОМ ОБЩЕСТВЕ?

- Как влияет этническое многообразие на этнические меньшинства, проживающие в Грузии?





ეთნიკური მრავალფეროვნება

ЭТНИЧЕСКОЕ
МНОГООБРАЗИЕ



კულტურა და მემკვიდრეობა

მემკვიდრეობა კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ცნებაა და აღნიშნავს იმას, რაც წარსულში მცხოვრები ადამიანებისგან მემკვიდრეობით გვერგო. თუმცა, მიუხედავად ასეთი მკაფიო განმარტებისა, ამ სიტყვის მნიშვნელობა ძალიან ფართოა. ის შეიძლება ნიშნავდეს მატერიალურ სიმდიდრეს, პრივილეგიებს, იდეებს, შენობებს, ისტორიას – ყველაფერს, რაც არ არის უშუალოდ ჩვენს მიერ შექმნილი ან შექმნილი.

კულტურის ცნებას, მეორეს მხრივ, რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნია. გაეროს 1966 წლის ეკონომიკის, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ შეთანხმების მიხედვით ის ნიშნავდა განათლებას და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას – ანუ ხელოვნებასა და მეცნიერებას. ყველას უნდა ჰქონოდა კულტურის (წიგნების, თეატრის, ცეკვის და ა.შ.) ხელმისაწვდომობის უფლება. არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიებისთვის კულტურა ერთი რომელიმე კონკრეტული ჯგუფის ცხოვრების წესს აღნიშნავდა. მაგალითად, “ნეოლითური” კულტურა ნიშნავდა ქვის ხანის ადამიანების მთლიან ყოფას:

მათ საკვებს, იარაღს, სხვადასხვა ქცევებს, რიტუალებს და ა.შ.

დღევანდელობაში, კულტურის ანთროპოლოგიური მნიშვნელობა უკვე საყოველთაოდ გამოიყენება. სხვადასხვა მცირე თუ მსხვილი ჯგუფების კულტურის შესახებ განზოგადოებანი უკვე არა მხოლოდ მეცნიერების, არამედ ნებისმიერი ადამიანის მიერ კეთდება. მაგალითად, ადამიანები საუბრობენ ორგანიზაციის კულტურაზე, როდესაც აღწერენ ორგანიზაციის თანამშრომელთა ჩვევებსა და ქცევის წესს.

თუ კულტურას განვიხილავთ როგორ განწყობების, დამოკიდებულებების, ქცევის მოდელებისა და რწმენის ერთობლიობას, მაშინ საქართველოში ნამდვილად ბევრი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ცხოვრობს, და მათ შორის განსხვავებები განპირობებულია სოციალური კლასით, რეგიონით, ენითა თუ დიალექტით. მშვიდობიანი თანაარსებობისთვის მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა კულტურები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და ესმოდეტ ერთმანეთის; თუმცა, არც პრობლემების გაჩენაა გამორიცხული – თუნდაც, მაგალითად, ქორწინების წესის მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებების გამო. არსებობს კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც გამომდინარეობს კულტურის გადამეტებული

КУЛЬТУРА И НАСЛЕДИЕ

Понятие «наследия» имеет конкретное общепринятое значение: это то, что нам досталось по наследству от людей, живших в прошлом от людей, живших в прошлом. Несмотря на такое довольно четкое определение, реальное значение этого слова значительно шире. Оно может означать не только материальное богатство, а также привилегии, идеи, знания, историю – всё то, что не было создано или приобретено непосредственно нами.

Понятие «культуры», с другой стороны, имеет несколько значений. В соответствии с соглашением по экономическим, социальным и культурным правам ООН 1966 года - оно означало образование и участие в культурной жизни – практически, искусство и науку; по условиям того же соглашения, право доступа к культуре (книгам, театру и т.д.) должно быть обеспечено всем людям.

Для археологов и антропологов понятие «культуры» приравнивалось к правилам жизни одной конкретной группы. Например, культура «неолита» означала быт людей каменного века: их пищу, ору-

дия, многообразие поведения, ритуалы и т.д. В современном мире, антропологическое значение культуры стало общепринятым. Обобщения относительно культуры малых или крупных групп делаются не только учеными, но и простыми людьми. Например, описывая привычки и правила поведения людей, работающих в конкретной организации, мы тем самым описываем культуру этой организации.

Если рассматривать культуру, как единство установок, взаимоотношений, поведенческих моделей и убеждений, то в Грузии действительно проживают представители многих различных культур, и различия между ними обусловлены социальным классом, регионом, языком или диалектом. Для мирного существования необходимо, чтобы эти разные культуры хорошо знали и понимали друг друга; однако, в некоторых случаях культурное многообразие порождает проблемы – например, из-за различного отношения к замужеству и браку. С другой стороны, излишнее подчеркивание культурных различий также может породить ряд проблем. Некоторые люди полагают, например, что культура отдельно взятой личности однозначно обусловлена ее принадлеж-

ხაზგასმიდან: ზოგიერთ ადამიანს მიაჩნია, რომ ინდივიდუალური პიროვნების კულტურა ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია მისი ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნებით. როგორც ოფიციალური პირები, ასევე ჟურნალისტები ძალზე იოლად, ერთი ხელის მოსმით აერთიანებენ ადამიანებს ჯგუფებში და შემდგომ საკმაოდ თავდაჯერებულად საუბრობენ ამ ჯგუფების “კულტურაზე”.

მაშ, რა არის კულტურა?

კულტურა არის ადამიანების დიდი ჯგუფისთვის საერთო ფასეულობების, რწმენისა და ქცევის ერთობლიობა. კულტურა შესაძლოა მოიცავდეს საერთო ენას და ფოლკლორს, კომუნიკაციის სტილს, იდეებსა და აზროვნების სქემებს – ჯგუფის წევრთა მიერ მიღებულ და აღიარებულ “ჭეშმარიტებებს”. ერთი კულტურის წარმომადგენლებს ცხოვრებისგან დაახლოებით ერთნაირი მოლოდინები აქვთ. კულტურა შეიძლება ვუწოდოთ აგრეთვე იმ შეხედულებებს, ტრადიციებს, პრინციპებსა და ქცევის ნორმებს, რომლებიც მიღებულია ამა თუ იმ კონკრეტულ ჯგუფში. კულტურა ის ორიენტირია, რომლის მიმართ ადამიანები არა მხოლოდ აღიქვამენ სამყაროს, არამედ კიდევ ურთიერთობენ მასთან. კულტურის დამატებითი განმარტების მიზნით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ერთგვარი ქცევითი პროგრამაა, რომლითაც ჩვენ ყველანი ვართ “დაპროგრამებული”.

ностью к той или иной группе. Официальным лицам и журналистам свойственно легко и просто приписывать людям принадлежность к той или иной группе и следом довольно самоуверенно рассуждать о «культуре» этих групп.

